

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 25

2020



მთ. რედაქტორი

**0შრ0 პაპასძეა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი”, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-832-8 (25 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მონილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზილენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანაბედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრული ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებული სამყაროს ოცდათოთხმეტე მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახვეწილული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...


კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიჟისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულუიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შონასიტეტვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ამ ლექსების წაკითხვისას ძალუმად გვეზმანება გმირ წინაპართა სხივნათელი სახეები და თითქოს ვხედავთ საამაყო წინაპრების სულთა შუქმოელვარე ალს, ქვეყნის სიკარულის წმინდა ნაღვერდალით აგიზგიზებულ გულებს. გვწამს და გვჯერა, რომ ადამიანის ღირსების წყაროა მამულიშვილობა. ყველა ამ ლირიკულ ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობისათვის, თვისტომთა გასაკეთილშობილებლად. ცხადია, რომ ჩვენი ყველა თანამემამულე ჭეშმარიტი პატრიოტი არაა, ეს ლექსები მათ მოუწოდებს, რომ განიწმინდონ ავისაგან და ბიწიერებისაგან. ნამდვილ პატრიოტებს ისინი ამხნევებენ და მამულისათვის ერთგულებას, თავგანწირვას და გმირობას შთააგონებენ. აქ კი უნებურად მახსენდება აკაკი წერეთლის მართებული თქმა: „ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამყვანი ხილია და ფონი! როგორც კეკლუცისათვის სარკე, ისე



ხალხისათვის ლიტერატურა საჭიროა, რომ შიგ ჩაიხდოს და თავისი სახე მისი ღირსებითა და ნაკლოვანებით დაინახოს“.

„ვაჟა ეგრისელი დროსთან მორკინალი ის გლადიატორია, რომელიც ამსხვრევს უძმთა სამანს, – აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში მეცნიერი ფილოლოგი მერი ბადრიაშვილი, – რათა ახლებურად დაგვანახოს წარსული და მარადისობას გვაზიაროს“.

დიახ, მართლაც დრო ყველაზე მკაცრი მსაჯულია, „ულმობელი და უასაკო“. დროუამი თითზე ითვლის შემოქმედის დღეებს და როცა ყველაფერი გაქრება, საქართველოს ცის ქვეშ ჩონგურის სიმებივით გაიწყრიალებს:

„ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა –  
ცა ვარსკვლავებმა

გადაიქროლეს

ოქროს ეტლების ცივი ციაგით.

მწუხარში დამექებს სიხარულის –

თვალი მოხებე.

და მოწყალებით დმერთო, მომხედე –

ქართულ მიწაზე

დგება ჩემი ხმის –

განთიადი“.



ან:

„მემახის შენი ცა და სინათლე  
რა სანატრელი, რა საამო  
ჟამი მოვიდა,  
მტგრევის ხმა მესმის  
საკუთარი სულის და ძვალის,  
მე ამოვდივარ მიწიდან  
და სიმყუდროვიდან,  
მე ამოვდივარ,  
მე ამოვდივარ ბალახის ძალით“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხმა გამოირჩევა შემ-  
მართებლური სიახლითა და ორიგინალობით. ოუმცა  
გვიან, მაგრამ ქართველმა მკითხველმა აღფრთოვანქ-  
ბით გაუხსნა გული მის სიტყვას, ეს იმიტომ მოხდა,  
რომ ასეთი სტილი მანამდე იყო ჩანერგილი ქართულ  
სულში გაუცნობიერებელი მოთხოვნილების სახით. ვა-  
ჟა ეგრისელისეული აღქმა რეალობისა თანამედროვე  
ეპოქის ეროვნული, ხალხისმიერი აღქმაა. არც ერთი  
პოეტი არ ქმნის ახალს ამ სიტყვის ჩვეულებრივი, პირ-  
დაპირი გაგებით, იგი რომ ეროვნული ენერგიიდან არ  
ამოდიოდეს. უცხო სუბსტანცია რომ თხზავდეს პოეზი-  
ას, მკითხველის გულებისაკენ გზას ვერ გაიკაფავდა.

მართებულად მიგვანიშნებს აკადემიკოსი გიორ-  
გი შათორიშვილი:



„ვაჟა ეგრისელი გამორჩეული ხმითა და გზით  
მოდის, სადაც უმაღვე იგრძნობა ალალი და უბრა-  
ლო, სულ-გულიანი გრძნობასათუთი პოეტი. მის  
ლექსებში ჩადებულ-ჩაქსოვილია კაცთმოყვარეობა,  
მშობლიური მიწისა და ცის სიყვარული. სიამაყე ჩვე-  
ნი ბრწყინვალე ტრადიციებისა. ჩაირფერ კაითებული  
ში, მეტაფორებში, სიტყვა-თქმაში, ყველგან ქართუ-  
ლი სული ბობოქრობს და გვიკვირს, სადა აქვს ამ  
კაცს ამხელა ენერგია დაგროვილი, გრძნობათა სი-  
უხვე, ატომის მუხლებად რომ იხლიჩება და თბილ,  
კეთილშობილ სხივებად გადააქვს თავის მქითხველ-  
ში. ფიქრიან აფრებს გიშლის, გბურძგლავს, არ გას-  
ვენებს, გაგაგონებს, შთაგაგონებს“...

ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი ჩვენი  
თანამედროვეა. თავად პოეტი ამქვეყნიურ ჭირ-ვარამ-  
ზე ჩაფიქრებული კაცია. მისი თვალთახედვის არე,  
როგორც მისი სეხნიის დიდი ვაჟა ფშაველასი, არწი-  
ვის თვალივით შორსა სჭრის, უსამანო სივრცეებს  
სწვდება და მთელი არსებით ისწრაფვის სულიერი  
თავისუფლებისაკენ. პოეტი ყოველთვის რჩება მარა-  
დიული თემების ავტორიტეტულ მფლობელად. მხო-  
ლოდ მის გამოსახვას ელტვის რაც საუკუნეებით  
განმტკიცებულა ჩვენს ეროვნულ სახიერებაში, რო-  
გორც ჩვენი არსებობის ერთადერთი ნატეხი და უტ-  
ყუარი ნიშანი, რაც მუდამ ბრწყინდება დიადი ესთე-  
ტიკური გამომსახველობით.



პოეტი მთელი არსებით იღლტვის ერის სამოქმედო პოტენციის გასაძლიერებლად. მისი მძაფრი სურვილია არ მიინავლოს ეროვნული ენერგია, რომლის მადლითაც თაობები აღზრდილან, რითაც ოდენ სულს იდგამდა ენით გამოუთქმელ ტანჯვასა და განსაცდელში გამოვლილი და ჩვენამდე ძლიგს მოღწეული ეროვნული თვითმყოფადობა. პოეტის ღრმა რწმენით ეროვნული ენერგია ძლიერია და დიადი, მას დაცლა არ უწერია, რამეთუ:

„წელში მოხრილ პატარა ბალახს,  
ვნახე —  
მკვდრის სული ვით გამოჰყავს  
საფლავის ქვიდან“.

ასე ამზეურებს პოეტი ეროვნულ თვისებათა მიჩქმალურ საუნჯეს და ფართო სადინარს უხსნის და სწორი კალაპოტისაკენ უბიძგებს უაზროდ დატბორილ ეროვნულ ენერგიას, აქვე მინდა ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი, რომ ვაჟა ეგრისელი ლექსით ეუბნება ხალხს იმას, რისი თქმა ძირითადად პუბლიცისტს, კრიტიკოსსა და ფილოსოფოსს ევალება. ლირიკოსი პოეტი დროდადრო უარყოფს თავის შინაგან ძირითად მისწრაფებას, მსხვერპლად სწირავს ესთეტიკურ საწყისს მისთვის მიუღებელსა და შორეულ მზანს:



„ათასწლეულების იქით –  
ფიქრით ისევ მივიჩქარი,  
მსურს კოლხეთში რომ დამიხვდეს,  
ქვიშასაგით ურიცხვ ჯარით,  
მორჭმის ოქროს ტახტზე მჯდარი,  
მეგვ ფიხუნია –  
ფიხტე“.

ეს სტრიქონები ბობოქარი სულის კივილია. ისე  
დაიღვარა ლექსი ქადალდზე, როგორც თბილი სის-  
ხლის იღვრება ხოლმე ჭრილობიდან. ვინ იქნება ისე-  
თი, რომელმაც ვერ პოვოს აქ საკუთარი სევდისა და  
ნაღველის გამოხატულება. რა ზუსტი და შემაძრწუ-  
ნებელი სურათია ჩვენი სინამდვილისა. აქ პოეტის  
მღელვარებაა, შემაშფოთებელი სიმართლე და საგან-  
გაშო ზარი.

გულმართალი მამულიშვილი საინტერესოდ ხა-  
ტავს მშობლიური კოლხეთის სურათებს, აյი სამეგ-  
რელოს, ესე იგი ისტორიული ეგრისის სახელი გა-  
მოიყენა ფსევდონიმად, გამოჩენილმა პოეტმა ვაჟა  
დოლბაიამ.

ვაჟა ეგრისელმა კოლხეთის ისტორიას ბევრი  
საინტერესო დირიგული ლექსი მიუძღვნა, მკითხვეუ-  
ლებს ატკბობს ისინი. მათი წაკითხვით გულაჩქრო-  
ლებული მკითხველი სწორად ფიქრობს: სხვადასხვა  
ეპოქის ქართველმა მამულიშვილებმა იმის გამო გაი-



მარჯვეს, რომ ისინი პირად ინტერესებზე მაღლა საზოგადო ინტერესებს აყენებდნენ. ასეთი ფაქტებით ადფრთხოვანებული დიდი ილია ბრძანებდა: „ჩვენი ძალლონენ, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევულობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველ ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ პქონდა საქმეში და მერე „მე“. უამისოდ აკი ვამბობ, ჩვენი ცხოვრება ერთ წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წარმოდგებოდა ხოლმე. მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარ „მეს“ უქან დააყენებდა“.

მუჟაითო შრომის, კეთილგარჯილობის აუცილებლობის მქადაგებელი, შთამბეჭდავი პიმნია ვაჟა ეგრისელის „ზე აიწია ქართლის ცამ“.

„ცხოვრება იყო გაძლება... სიცოცხლე იყო ზღაპარი.

ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად  
ბნელ ცის ქვეშ მამა-პაპანი  
აშენეს ციხე-კოშკები ათი კი არა,  
ასიცა,

მაგრამ იქ – სვეტიცხოველთან –  
ზე აიწია ქართლის ცამ“.

დიახ, ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობისადმი, ნაღვაწისა და ნაჭირნახულევისადმი მიძ-



ლვნილ ღრმაშინაარსიან, იდეურად გააზრებულ ლექსებს თუ გავიხსენებთ, გვაქვს უფლება, რომ დავასკვნათ: ვაჟა ეგრისელის ეს ლირიკული ქმნილება სულის დამატებობლად, გულის აღმაფრთოვანებლად თვალწარმტაც გვირგინში ჩასმული თვალია.

მამულის სიყვარული ის დეთაებრივი სინათლეა, რომელშიც მდგარი ადამიანები უფრო ცხადად ხედავენ, როგორც წარსულის ჭრილობებს, ასევე იმ აღმართებსაც, რომლებიც მომავალში უნდა გადალახონ... მისთვის, ვინც იცის მშობლიური მიწის თავგადასავალი, ვისაც წარსულის მწარე თარიღები მეხსიერებაში მოუშეშებელ ნატევიარებად ჩარჩენია, ძნელია მამულზე ლაპარაკი; მან იცის დიდი სიყვარული იმ ვულგანივითაა, რომელიც ულამაზესი ბიძგებით შეგვასხებს, რომ მისი ცეცხლი წმინდაა და ჩაუქრობელი:

„ვინ იცის,  
მოსული საიდან,  
პონტოს დასტრიალებს თოვლივით ქათქათა,  
წინაპრის სული თუ თოლია  
და სიგრცეს გაჰკივის  
გაიგოს დუნიამ,  
რომ კოლხეთს  
აიეტის წინარე პყოლია,  
ხელმწიფე –  
ვიხუნია“.



ლირიკული გმირის ნუგეშ-დიდების, ქართველი  
ხალხის ბედგანამწარი ისტორია, ბედკრულობა თავ-  
მოსაწონებლადაა გაცხადებული ამ შედევრშიც:

„ზღვისკარად მოსულს წარდვნის იქიდან,

ვითარაც დემონი დაჰკიოდა

თავზე ავსული.

ევქსინის პონტო ზვირთოა დერიო

თითქოს ულოა,

და ქარიშხალი

ჩემი ქვეყნის არის წარსული,

უკოლხეთოდ კი საქართველო

უწარსულოა“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესაა საქართველოს წარსულის სწორუპოვარი შეფასება:

„ფიქრიო –

ნაპირზე ვცხოვრობ ევფრატის, –

ძველ ნასახლარზე ჩემი წინაპრის

და წყალს ჩავცქერი,

როგორც ტობალი,

და ნათლად ვხედავ:

ათასწლეულ დამის სიღრმიდან,

მზე ბნელს მოარდვევს და...

კოლხეთში დილას მოგალობს“...

(„ტობალი“).



ვაჟა ეგრისელი ასე ღრმად ჩაწვდა კოლხეთის ისტორიას, ლირიკული გმირის კეთილშობილურ გრძნობას, მისწრაფებას, მის კეთილპაცობას, კეთილსიტყვაობას, რამდენიმე სიტყვით ძველ ნათელს ახალი სხივები მოაფინა და მკაფიოდ გადმოგვცა თავისი იდეური პოზიცია რომ:

„მზე ბნელს მოარღვევს...  
და კოლხეთში დილას მოგალობს“.

სატაგს რა გულლომი წინაპრების თავგანწირვას, ვაჟა ეგრისელი თანამემამულებს მოძღვრავს სამშობლოს დამოუკიდებლობის, დიდებისათვის, კეთილდღეობისა და მისი მომავლისათვის თავგანწირული ბრძოლის სურვილით.

გულდამწვარი მამულიშვილი წყევლა-კრულვით წერს შურისა და მტრობის, სულბნელი, სულაყაფუბული, ვაი თანამემამულების შესახებ. ლექსში ჩაღრმავებისას თითქოს გვესმის კვნესა, ვაება ქართველი ხალხის ბედუკულმართული ცხოვრების გამო:

„შურის და მტრობის გედგა უდელი,  
სისხლში იდექ და წელში წყდებოდი,  
არას გშველოდა ლოცვა ბერთა  
და დიაკვანთა,



მაგრამ... მამულო!

შენ იწყებოდი  
ყველა ქართველი ბავშვის აკვანთან“. –

გვეუბნება პოეტი და გვარწმუნებს, რომ გარდა-  
უგალია იმ ხალხის დამარცხება, რომლის მყარი სა-  
ფუძველი არაა აკვნების სიმრავლე.

საქართველოს ნათელი გარდაუვალობისათვის  
ხოტბის შემსხმელი ლექსები უხვადაა პოეტის კრუ-  
ბულებში. პოეტი დარწმუნებულია ერის ნათელ მო-  
მავალში:

„რაც დრო გადის მით უფრო,  
ნისლში პრეისტორიის –

იძირება კოლხეთი...  
მაგრამ გამოიდარებს,  
და ჟამი კვერს დაუკრავს –  
ჰომეროსს და პინდარეს“.

აქვე უნებურად მახსენდება ვაჟა ეგრისელის ერ-  
თი ლექსი „კოლხეური ფსალმუნიდან“:

„ვუხმობ ნათელს და...  
ყოფნის წყვდიადი,  
უფალმა იცის, სანამდე გასტანს,  
ათასწლის მერე მოგძახით და გაბმით



მოგვივით:

გვეი, ბატა!  
ბატა, ვო ბატა!  
შენ მაშინ იყავ...  
ჩვენ კი ახლაც გართ გათოქილი!!!“

„...ვაჟა ეგრისელის პოეზია, განსაკუთრებით „კოლხური ფსალმუნები“ – თამამად შეგვიძლია შევადაროთ ზურაბ წერეთლის მონუმენტური ქანდაკების ხელოვნებას – დამყარებულს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნაზე. ელგუჯა ამაშუკელისა და ვახტანგ დავითაიას უკვდავი ქმნილებების იდუმალებას – დაფუძნებულს ქართულ, ისტორიულ ცნობიერებაზე და სულიერებაზე“...

ნუგზარ ნადარაია,  
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის  
ვიცე-პრეზიდენტი,  
ე.მ. დოქტორი.

ფაქტიზი სიყვარულით, მამულისადმი უანგარო გრძნობითაა გამობარი ვაჟა ეგრისელის წიგნების მარად ჟამს უჭინობი, გაუხუნარი სტრიქონები:

„ჩემს ყევარ ბიჭებს –  
ზურაბ და დაჩი –



მე ახლა მხოლოდ თავისუფლად  
სიარულს გაჩვევო,  
ვით გაუხედნავ თვალსაცერა პატარა ბუდებს,  
მაგრამ სულ მაღვე, დიდსა და მძიმეს –  
მე საქართველოს სიყვარულის  
დაგადგამო უდელს.  
აბა, თქვენ იცით, თუ როგორ გასწევთ!“

ვაჟა ეგრისელი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და პოეტი, მთელ თავის ცხოვრებასა და შემოქმედებას უძღვნის მშობელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას. პოეტის ფაცხაში გამოზრდილმა და გაწვრთნილმა თვალსაცერა მოზვრებმა, უკვე დიდი ხანია მამულის მძიმე უდელს შეუდგეს მხრები და საქართველოს კეთილდღეობისათვის იბრძვიან.

ვაჟა ეგრისელის ლირიკულ გმირს ტანჯავს და აწამებს ქართველი ხალხის უღირსი შვილების ავკაცობა. იგი დაღონებულია იმის გამო, რომ ბევრი გულდრომ, გულმრუდე, სულით ხორცამდე ბიწიერი, სულბნელი, ეგოისტი, ეშმაკი, ქრისტეს თითქბის მაკვებელნი დალატობენ თვალწარმტაც ქვეყანას.

სწორედ ასეთი ქართველების წინააღმდეგაა დაწერილი ვაჟა ეგრისელის ლირიკული სტრიქონები:



„კიდევ ცოტა და...  
გამარჯვება ბუკს ჩაპბერავდა,  
ხმლით დახნულ ველზე თქმულებები  
ფეხს გაიდგამდნენ  
და ძლევის დროშად აფრინდებოდა  
მოხუცი მეფის ხმა და ძახილი,  
სისხლს გაიწმენდდა პირი მახვილის,  
მაგრამ იკივლა უცებ ღალატმა,  
და... ჰა, მას მერე,  
ველი კრწანისის –  
ყაყაჩოების ცეცხლით კი არა,  
ვაჟმე!  
სირცხვილით გაწითლებულა“.

აქ წყევლა-კრულვა და შეზენებაა იმ ქართველებისა, რომლებიც ურთიერთსიძულვილით არიან განმსჭვალულნი, მტრებს ეხმარებიან. პოეტი წუხს იმის გამო, რომ ცოდვა-ბრალი მოზღვავდა, გაუბად-რუპებული, გაუბუღმართებული, გაფლიდებული ქართველების ქცევით გულშეღონებული გმირი დიოგენოვით ფარნით მიაპობს წყვდიადს, რათა მოძებნოს გულმართალი მამულიშვილები:

„ვისაც ცოდვილი სული მივანდე,  
სწორედ რომ იმან მივერაგა  
და მიღალატა,



რწმენა კი როგორც ჩიტი კანარის,  
სადღაც მიფრინავს,  
მოკვდავთაგან უდგორდ დევნილი,  
დღისით და დამით დამაქვს ფარანი –  
დიოგენივით!“

ჟრუანტელის მომგვრელი, სულის და გულის  
შემძვრელი სტრიქონების წაკითხვისას აუცილებლად  
გაგვასენდება პოეტის მეორე ლირიკული ქმნილება,  
რომელშიც იგი გამოთქვამს პატრიოტულ მწუხარე-  
ბას იმის გამო, რომ გვიან მოევლინა სააქაოს:

„როცა ეგრისის ციხეს ჩავუვლი,  
გვიან გაჩენის შემაჟრულებს  
დანაშაული,  
და მესმის ხმები, შეწყალების არა მთხოვნელთა:  
მთვარის ფარით და  
მზის შუბით ხელში –  
ქონგურებზე მდგარ გუბაზ მეფის მეციხოვნეთა“.

დიახ, პოეტი ჩვენი ბობოქარი თანამედროვეა.  
ჩვენს სულზე სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს, ლა-  
მაზ გრძნობას აღძრავს და დღევანდელ რთულ კითა-  
რებაშიც გზას გვილამპრებს:



„ბნელ ქსელში ახვევს დამის ობობა,  
ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ ჩემს გულს.  
მწამს, მელის უდაბნო და უღრანი...  
ეჰ, საქართველოვ!  
შენი ტრფობის უდელში შებმულს,  
დე, მარად მტკიოდეს ქედი-ნაუღლარი“.

სამშობლო მიწის უსაზღვრო სიყვარული, ეროვნული გზების ძიება, ქართველი ერის მთლიანობის იდეა და მშობელი ერის მთვლემარე თვითშეგნების გამოღვიძებაა ვაჟა ეგრისელის ლირიკის უმთავრესი მიზანი. სხვა თვალით, სხვა დაუინებითა და წვდომით შეჰყურებს იგი ყველაფერს დროში, მის შეუწყებელსა და მარადიულ დინებაში, ყოველგვარ ცვლილებაში, დროის დინებას რომ მოაქვს. რაღაც სასწაულს, იდუმალსა და შეუცნობელ მნიშვნელობას ფიქრის ორეულში ხედავს პოეტი და საგანგაშო ზარს ჩამოჰკრავს თავის მჯექარე პოეტური ხმით:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს –  
მტრობისა და სიძულვილის –  
გველეშაპი მისწოდია,  
მათ იციან:  
აქ იწყება –  
საქართველოს ისტორია“.

(„ზღაპრულ კოლხეთს“).



\*

დასაბამიდან ფაზისის და  
პონტოს ნაპირს  
ბუდობს კოლხეთი,  
როგორც ხოხობი.  
თქმულების და ლეგენდების  
დაგრეხილ რქებით –  
უამს მიფატრავენ სამეგრელოს  
მთები-ჯიხევები.  
ცოტნეს ადგილის დედაა-ხობი,  
დადიანთა ძვალშესალაგი –  
ნოჯიხევი“.  
(„ხობი. ნოჯიხევი“).

**ციალა მასხია**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქტური კაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



\* \* \*

შენს ფერხთ გაირთხმევიან  
მთები,  
როგორც მონები,  
ანდა როგორც ჩრდილები..  
შენ,  
ორს ემორჩილები, —  
უფალსა და გონებას.

2005

\* \* \*

პონტოს ზღვიდან ისევ მესმის –  
 შორეულზე –  
 შორეული  
 ავნესა ჩემი სამშობლოსი:  
 ხმა ფაზისის,<sup>1</sup>  
 აკამფსისის,<sup>2</sup>  
 გლავკოს,<sup>3</sup> ჰიპპოს<sup>4</sup> და ქობოსის.<sup>5</sup>

1966

<sup>1</sup> ფაზისი – რიონი<sup>2</sup> აკამფსისი – ჭოროხი<sup>3</sup> გლავკოსი – ტეხური<sup>4</sup> ჰიპპოსისი – ცხენის წყალი<sup>5</sup> ქობოსი – ენგური

\* \* \*

ათასწლეულების გზებზე,  
კოლხთა დიდი ისტორიის  
წყალი –  
ბევრი უმღვრევიათ.  
მაგრამ, ვით შენ, ძველ კოლხეთზე,  
ჯერ არავის უმღერია.

2007



## ხეა

(ვარიანტი)

ლეგენდიდან რომ ისმის,

და ღვთის მოშიშ

სამყაროს,

ტანზი ჟრულად რომ უვლის:

ის ძეძუმბე —

მგლის ხმაა,

რომისა და რომულის.

1978



\* \* \*

რა ღრუბლები!

ელვაც კი,  
სულ შიშივით კანკალებს:  
— ეშინია შენს ცაზე უეცარი გადავლის.  
მთვარე არა,  
სამყარო არის შენი აკვანი,  
ეს მზე და ვარსკვლავები  
არის შენი ნადავლი.

1979



## სადღაც ხანძთელის ტირის ბაზიში


თმოგვის ციხე და ციხე  
 ხერთვისის –  
 ლოცვებს ადავლენს  
 ქრისტე ღმერთისთვის.  
 მოუწყენიათ ტაოს და კლარჯეთს;  
 სადღაც ხანძთელის ტირის  
 ბაზიში:  
 – რომ საქართველოს დამაქცევართ  
 დედა ვუტირო,  
 უპა დექ ზღვაო!  
 მთაო, გადმიშვი!

1990

\* \* \*

აღარ კოცნიან ტალღები ნაპირს  
და აღარაფერს არა აქვს მადლი,  
არც ზღვას,  
არც ბალში ყვავილთა  
კრეფას,  
რადგან მზის ფეხზე მიბმული  
შუადღის,  
ცოფმორეული მოისმის ყეფა.

1966



\* \* \*

სიმინდის ღერები,  
 ქარს ვედარ იჭერენ,  
 აღებს და  
 კეტავს კარებს.  
 ვით მეგრულ ფაცხაში,  
 ცის ჭერზე,  
 შებოლილი სულგუნივით ჰკიდია  
 მთვარე.

1954



\* \* \*

გრელუოკიანი ქუდი ახურავთ  
და ლამაზ მწერივად დგანან  
დუქნები.

მატარებელი სივრცეს მიჰკივის.  
ალვის ხეები ხელებს უქნევენ,  
გზისპირს სიმწვანე  
მისდევს ხვლიკივით.

1962



## ქალდეა

არავინ იცის,

თუ რამდენი ათასწლეული,

იქიდან –

აქეთ წევს გალურსული.

და ცა ქართული – საქადალდეა,

სად ვარსკვლავების ოქროს

ლურსმულით

წერია ოქროს სიტყვა „ – ქალდეა“.\*

1972

---

\* ქალდეველები – გადმოცემით პირველი ქართველები  
იყვნენ.



\* \* \*

რაღა მაქვს დანაშაული,  
ცა რომ არ მიღებს ზღვის კარებს?!  
დღე ერთია და ძველ კოლხეთს  
ათასჯერ აუკლ-ჩაუკლი,  
მაგრამ ახლოს არ მიკარებს.

1960



\* \* \*

ცის დარბაზებს –  
ქარში დიად დარჩენილო,  
თარხონი კი მეხთა-ტეხიო  
აყრუებს.

ზვირთები კი ნაპირებთან დაობენ...  
უფლის თვალი სიყვარულით  
დაჰყურებს –  
დილის ჭალებს და  
მიმწუხრის ჭაობებს.

1986



## შენი გულია მთვარე

მზის მოლოდინში ჩუმად,  
იღება დამის კარი,  
ელვა სიბნელეს კივის.  
შენი გულია – მთვარე,  
ასე შორი და  
ციკი.

1963



\* \* \*

კოლხეთისკენ მომავალმა,  
 ოელეს ათასწლეულები –  
     ქასქებმა<sup>1</sup> და  
     ხეთებმა<sup>2</sup>  
 აი, ახლაც მათი სული –  
 ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავებად  
 ცაში დაეხეტება.

1967




---

<sup>12</sup> კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები.

\* \* \*

ქარია თუ ქარიშხალი,  
კვლავ აქარგავს ზღვებს  
არშიას.  
ნაპირს ეფინება ბინდი.  
ყოფნა მუდამ ღელვაშია,  
არყოფნაა მუდამ მშვიდი.

2008



\* \* \*

ვინ იცის,  
იქნებ არაგვთან,  
გამოენისას, ვით ადრე,  
ჩამოიარონ დევებმა.  
იმათი სისხლი მწყურია,  
მსურს რომ პირისპირ  
შევება.

1973



\* \* \*

ათასწლეულების ხელით,  
ზღვისკარად რომ  
ირწევიან,  
ზეირთნი არა, აქვნებია.  
ბრძოლის ველზე ეცემიან  
გმირნი,  
მაგრამ არ კვდებიან.

1967



\* \* \*

მოყვავილეს ზღვისკარად  
შურით ნურვინ შეხედავს,  
შენს ხორგას და  
შენს დარჩელს!  
რადგან შენ, ვით იობი,  
მტერს ჯავრს აღარ  
შეარჩენ.

1993



## სეტშვა პახეთში

სეტყვამ,

როგორც შაჰ-აბასის

ურდოებმა,

კახეთს ვენახები მოსრეს,

როცა უცემ გაწვიმდა.

ახლა მთიდან მზე ჩამოდის

როგორც მოსე,

სიავისგან ყოველივეს განწმიდავს.

1992



\* \* \*

აპა,

მცხეთა და გარეჯი,  
სადაც ცისკრის ზარს მოელი,  
გარსკვლავეთით გადმორექილს.  
უფლის სახლის განძს  
დარაჯობ,  
ისე, ვითა იოელი.

1992



## მოკვეთა

„ვინც უფლის გარდა სხვა  
ღმერთს სწირავს მსხვერპლს,  
უნდა მოიკვეთოს“.

(გამოსვლა 22:19)

ასეთია უფლის ნება:  
უფლის მგმობმა,  
დავრდომილმა,  
ცოტა უნდა მოიკეთოს.  
მერე ისევ ხალხის ნებით –  
„მოკვდინდეს და  
მოიკვეთოს!“

1982



\* \* \*

ძველ რომიდან მომავალი

ფიქრის ქარი —

ზენას აშლის.

და კოლხური ცა ციალებს:

ვჭვრებ ორ პოეტს დიდ

სენაკში —

ლუგანუსს და მარციალის.\*

1978

---

\* იხინი — კოლხ-იბერები, (ბასქები) იყვნენ.



\* \* \*

შენს წიგნებში სახლობენ –  
ღვთისგან მივიწყებულნი,  
ბედით უსახლკარონი.  
არ ჩანს შენი სადაგი.  
და ვით დმერომა აარონი,  
შენ კოლხეთის წარსული  
ჩუმად ააქადაგე.\*

2002

---

\* ქადაგი – ხალხსა და დმერთს შორის მოციქული



\* \* \*

მოდის პრეისტორიის  
 დანისლული ბილიკით,  
 აწ შენს „კოლხურ ფსალმუნებს“  
 გვერდს ვერავინ ჩაუვლის,  
 თუნდაც გვჰენიის მძვინვარ ცეცხლში  
 შევარდეს.  
 ვით სოლომონს მოგელის  
 დიდი დღესასწაული –  
 პონტოს სანაპიროდან  
 თვით „ეგვიპტის ხევამდე“.

2001

\* \* \*

გაზაფხულის ვარსკვლავებით,  
ისევ პყვავის ცა –  
მოცხარის,  
უჩინოთა და ღრჯულოთა.  
მიწა არის სალოცავი  
კვლავ,  
„რჯულიან-ურჯულოთა“.

1992



ა. გ.

## 0სეპ ორი 0შდა

იუდა ისკარიატელს  
და იუდა მაკაბელს,  
მოუქსოვა დრო-ჟამმა,  
ერთს ეკლის და  
მეორეს –  
გარდის თეთრი საკაბე.

1992



\* \* \*

მნათთა ჩოხა გიხდება  
და ქართული გშვენის ცა –  
კამპამა და  
ცინცხალი.  
ო, რა ღრმაა შენი ჭა,  
რა სუფთა და საამო  
შენი წმიდა ჭის წყალი.

2007



## მესხეთში

მტკვრის გარინდებულ სარკეში –  
 ამაყად იდგნენ ქედები –  
 ვარძიად,  
 ციხე – ხეროვისად.  
 „ასეთი იყო ქმედება,  
 ყოვლისგამრიგე ღმერთისა“.

1988

\* P.S. (3 – მაკადებელთა 5.28).



\* \* \*

მიმწუხრისას თვალებში –  
სინათლის სხივს შეიტანს,  
ჩემი ხშირი სტუმარი:  
ზეციური ფლეიტა  
და ხმა იდუმალი.

1960



\* \* \*

ურჯულოთა უღვთო მოდგმამ,  
 ფშაველებს,  
 ხევსურებსა და ქისტებს,  
 თავი ბევრჯერ დაატოლეს.  
 გულში მუდამ სწამდათ  
 ქრისტე,  
 შატილიონ – ანატორელო.

1976



\* \* \*

მიმწუხარისას ვიდაც ელის

მას,

ვინც ათასწლეულები,

ლოცვას რომ მოანდომა:

დიად „ელოპიმს“<sup>1</sup> და „ელის“,<sup>2</sup>

„შეხანას“<sup>3</sup> და

„ადონას“<sup>4</sup>:

1976

---

<sup>1234</sup> ბიბლიური საღმრთო სახელები.

\* \* \*

მოსაგალს კი ერთი იმკის,  
თუმცა მიწას ბარავს ასი.

ისე,  
ვითა ნაურმალი,  
ერთმანეთის გვერდით მიდის,  
გზა ქრისტეს და  
ბარაბასი.

1989



\* \* \*

ურწმუნო კაცის პერაზე  
შეწყდება სმა და  
ქეიფი,  
აღარ დაკლავენ ნიკორებს.  
ალგად ამოვა ხე –  
იფნის,  
და ზედ გველს ამოიყოლებს.

1989



\* \* \*

გარსკვლავების ნათურებით –  
 ცაში მთვარე მოჩანს ნაძვად,  
 დამის მწვანედ მღებავი.  
 შენ ქოლხეთში,  
 ღვთის სამსხვერპლო  
 აგებ ტაძარს,  
 ვით იქსო მაღალ მთაზე ღებალის.

1986



\* \* \*

პონტოს ზღვიდან ვისმენდი  
ბდავილს ოქროს ვერძების  
და წარსულის მკერდიდან  
წლებმა ვედარ ამსხლიტეს.  
ჩემს კოლხეთში ვეძებდი –  
ენქიდუს და გილგამეშს,  
აიეტს და აფსირტეს.

1966



\* \* \*

ქარიშხლის ძახილი  
 სამყაროს ედება,  
 შორით ცის კიდეა,  
 და იქ ყივილი მოისმის გედების,  
 მათ მაღალ ყელებზე  
 სიკვდილი კიდიათ.

1974



## ათი ქალწული

ძილმა სიცხიზლის მიხურა კარი,  
სად საქორწილო –  
ცად იდგა ტახტი.  
შუაღამისას, ვითარც „სიძე“  
მოვიდა მთვარე,  
მაგრამ დარბაზში ათის ნაცვლად,  
ხუთი ქალწული  
ვარსკვლავი დახვდა.

1979



\* \* \*

წყვდიადს ათასწლეულთა

ისევ,

ისე მიაპობს

რწმენის, „წმინდა ნათელი“,

დვთის თვალებში რომ ედგათ:

აძრამს,

ისაკს,

იაკობს.

1977



\* \* \*

როცა თენდება დღე ბნელზე ბნელი,  
უფლის რჩეულმა  
რა ქნას მგოსანმა.  
როს უწმინდური და ბელზებელი,  
სასოების ხეს სულის  
შებერვით  
ახმობს და...  
ეშმა ამბობს „ოსანას“.

1993



## მთიები გალოგდნენ ქართულ ცას

ეს ცა —

თავს ედგა გვირგვინად,

მზითმოსილ ნეფერტიტ —

თათუსაც.

მას შემდეგ რამდენი ითოვა,

იწვიმა...

ვით ახლა, უთვლელი წლის წინათ,

მთიები გალობდნენ

ქართულ ცას.

1998



## ხორუ – მატუა

ეჭ, აღდგომის კუნძულამდე,  
არვინ იცის თუ რამდენი  
ოკეანე გადაბეჭდა  
და ჟამი მოატყეა.  
კვლავ ელიან ინდიელნი  
თავის ბეჭდადს –  
იბერ ხოტუ – მატუას.\*

1999

---

\* ინდიელთა თეთრკანიანი ბეჭდადი (მეოთხე ათასწლეული).



\* \* \*

მეცხრე ციდან ჩამოფრენილს,  
 დღის და დამის ფრთიან  
 მგოსანს,  
 გაპრობს ხარო და მიწური.  
 ვეფხისტყავად ზეცა  
 გმოსავს –  
 ვარსკვლავებით დაწინწკლული.

1969



\* \* \*

ზოგ-ზოგების გონის კართან,  
ისევ ისე სცემენ ბოლთას,  
ფრანგული და  
ინგლისური.

ქართულით კი შენში,  
როგორც სოლომონთან,  
კვლავ გადმოდის სიბრძნის სული.

2004



\* \* \*

ჯოჯოხეთის კი არა,  
 კარი მარადისობის  
 დანტესავით შეაღე.  
 მიწიერს კი დგოური,  
 ისევ გმოსავს მშვენება.  
 შენ ხარ ქრისტეს მებაღე,  
 ლოცვებით მოყვავილე –  
 ბადის მოსაშენებლად.

1981



\* \* \*

ღრუბელი კი ქარ-ბორიას  
მოჰყავს ელვით გაბაწრული,  
გაიხაროს რომ ქორწილმა.  
მუცლადიღებს ცა — ქალწული  
ზღვას,  
რომ შობო თქმოს წვიმა.

1962



\* \* \*

ხედავ: შურიო უმზერენ,  
 მაგრამ ვედარ ამხელენ:  
 „კოლხური ფსალმუნების“ –  
 „პულსარებს“ და „პვაზარებს“,  
 „ოეთო ჯუჯებს“  
 და „შავ ხვრელებს“.

1992



\* \* \*

შოორეული წარსულიდან –  
ყივილი კვლავ გესმის  
გეცხრის,  
დღეები კი მზეს თესავენ.  
იდუმალი არის ცეცხლი –  
შენი ხსნა და  
საესავი.

1987



\* \* \*

რუსთაველის ხმა გესმის,  
ისე,  
როგორც ნობელის  
და შიშის ზარს არისხებ –  
ავსულების მობერილ  
ქარებსა და  
ქარიშხელებს.

2009



\* \* \*

მცხოვრებთ შურის კუნძულზე,  
სიძულვილის და  
ღვარძლის,  
შავ ისრებით დაისრულო,  
უმანკო ცა დასცქერის  
მხეცებს –  
აპოკალიფსურს.

1993



\* \* \*

უხილავი და ფარული,  
მიწის ბრუნვა მაშინ იგრძენ,  
როცა წამით შეიცანი,  
ამა წეთისოფლის არა,  
უთვალთმაქცო –  
უფლის სიბრძნე.

1997



\* \* \*

წყვდიადიდან მოსული

მზე —

ჯვარცმული ქრისტეა,  
ნათელი რომ ამძიმებს.

და პირთამდე იგსება  
სისხლით —

მიწის ბარძიმი.

1993



\* \* \*

ყანას ათასწლეულების  
 ვითარც ოქროს კბილა  
 ტაროს,  
 უფლით, მარცვალ-მარცვალ დაფშვნი.  
 რომ იდინოს სიბრძნის  
 წყარომ,  
 შემოსილმა ნათლის ჯავშნით.

1989



\* \* \*

ლოცვებია – მთიები,  
მიმწუხერმა რომ სივრცეებს,  
ტანზე რომ დაასია.  
საწყალ კაცობრიობას  
ცოდვებისგან იხსნიან.  
ცა – გრაალის თასია,  
და მზე შედედებული,  
მაცხოვარის სისხლია.

1969



\* \* \*

ტრაპიზონს და ფარნაკიას,  
 კოლხეთა დიდი წინაპრები –  
 უამმა ყოფნის ჯვარზე აცვა,  
 რადგანაც მათ არ იცოდნენ,  
 მგელი კრავთან არ იძოვებს.  
 ასე მტერმა,  
 მზე წარსტაცა,  
 ალიბებს<sup>1</sup> და ჰალიძონებს<sup>2</sup>

1996

---


<sup>12</sup> იგივე ქალდები – ძველი ხალიბები.



\* \* \*

ნაკადული სინათლის,  
ვით მდინარე მოდიდდა,  
ან რაა გასაკვირი.  
რომ გესმოდა,  
ოდიდან,  
ხმები ცათა საყვირის.

1994



\* \* \*

ეშმას მცნებით აღჭურვილი,

ბერავს უძლურების

ქარი.

ცას სინათლის უგლის ბინდი.

მაინც ხმები ისმის

ქნარის,

გამის,

ძის და სულიწმინდის.

1988



\* \* \*

დამის მიღმა სინათლედ,  
ბრწყინავს ელვის ფაცერი.  
უჩანს მთვარეს  
მხარ-ბეჭი, –  
ცას – მთიებით დაწერილს  
და მზის ბეჭდით  
დაბეჭდილს.

1996



\* \* \*

შორს,

კოლხეთის წარსული კი,  
ისე, როგორც ოქროს ვერძი,  
მზის წყვდიადში –  
უხმობს ნოეს –  
და ნათელში ბნელს დაუძებს,  
სინათლეზე უზემოეს.

1981



\* \* \*

ცათა სასუფეველში,  
ვარსკვლავთა კლავიშებით,  
მთვარე ჩანს,  
ვით ორგანი.  
და დამე შეა იყოფის,  
წეს ნათელი ორგვარი –  
ამ სოფლის და  
იმ სოფლის.

1971



## ობელისპი ჭიშამართან

„თანმდევი სული“ აქ ჯვარზე აცვეს,  
 ჩვენებას რომ უსმენს  
 მოწმეთა,  
 შავ წესილს მიდამოს მოპყენს ნისლი,  
 წიწამურიდან სისხლი  
 პპლავ  
 მოწვეთავს,  
 გრაალის თასად დგას ობელისკი.

1979



\* \* \*

ღამით ელვა მთიებთან  
რიკტაფელას თამაშობს –  
ნათლის დასამალავად  
სულიწმიდა თავად შობს  
ცად –  
„მწიგნობარ ფალავანს“.


2001



## ქარები

თუნდაც ზესთა სამყაროს –  
 გარსკვლავები ცვიოდეს,  
 არსად მიმეჩქარება –  
 მზით და მთვარით შემოსილს.  
 და მე, ვით პესიოდეს,  
 იმედი მაქას ქარების:  
 ბორიოს და ბორბალის,  
 ასტრეოს და ეოსის.

1972



\* \* \*

ცამდე მაღალ რწმენის მთიდან –

მოჩუხებუხებს –

ნათლის წყარო

და ნიავიც აღარ იძვრის.

შენ უფალი მიტომ გწყალობს,

რადგანაც რომ ცხოვრობ

სიბრძნით.

1996



\* \* \*

ის პოეტია ცით მოვლენილი,  
დრო-უამს მოარდვევს,  
ვით გილგამეში...  
დილის მზესავით იწვის...  
იზრდება.

და საქართველოს ტრფობის გაღეშილს  
არ უწერია გამოფხიზლება.

2004



\* \* \*

წევთისოფლის შარაზე,  
მიმქროლავი დღეები,  
ღამის ტორებს ადებენ,  
ნათელს ახალშობილს და  
ნათელს დაუბადებელს.

1986



\* \* \*

მიწას სიცხით ტუჩგამსკდარს,

ზეცა წვიმას

დაპირდა.

ახლა ქარი აწამებს –

ღელვის მსურველ ნაპირს და

ზღვის ცრემლით სველ

წამწამებს.

1971



\* \* \*

საქართველოს ლურჯი ცა ხარ,

გარსკვლავებით –

მსხმოიარე.

და ათასი საუკუნეც,

ვერ განკურნავს შენს

იარებს

და შენს წყლულებს განუკურნელს.

2007



\* \* \*

ღმერთმა იცის, ვინ თესავს,  
და მოსავალს ვინ იმკის.  
ისმის დამის გადაღმა:  
ვაზი დაჭკნა,  
გადახმა,  
ლეღვის ხე და ფინიკიც.

1992



\* \* \*

შავფრთიანი დრუბელი

მთიდან –

ბარად იურგის.

სადღაც მეხი გავარდა.

მაყვლის ბუჩქთან ვდგავარ და,

მსუბუქ ნისლად მებურვის

ცეცხლი –

მარადიული.

2009



\* \* \*

ისე, ვითა რუსთაველს,  
მეც შეფარვით მიქია,  
დიდიჭყონის ტოტები.  
მგელი არა,  
ჯიქია,  
ჩემი წმინდა ტოტები.

1976



\* \* \*

ვით წინასწარმეტყველი,  
ღვთისმოსავი ოსია,  
და ანდა იოგელი.

— ამბობ ანგელოზია  
და ღვთის ძახილს  
მოელი.

2003



\* \* \*

ყოვლისმსმენი და მხილველი  
 მოწმე არის ცა –  
 ქართული,  
 რომ ჩემს რწმენას ვერვინ შეცვლის.  
 რადგან მე ვარ მონათლული  
 სულიწმიდით,  
 წყლით და ცეცხლით.

1969



\* \* \*

ამქვეყნიურ ქაოსში,  
რაც თვალი აახილე,  
სულს ეჭვივით გიღრნიდა,  
ჩუმი, უხმო ძახილი,  
ცის და ლამის მიღმიდან.



## ჯამე ქართლში

ქართლ-კახეთში,  
 სპარსს და მონდოლს  
 ქვა არ დარჩენია ქვაზე,  
 ციხე რომ ჩანს, ის თმოგვია.  
 მთვარე —  
 შუაგულ შუბლზე აზის,  
 ღამე,  
 თითქოს კიკლოპია.

1964



\* \* \*

ყოფნაცა და არყოფნაც,  
სხვა რა უნდა ინატრო,  
აგქ,  
კართაგენია;  
შენში ორივ ბინადრობს –  
დემონიც და  
გენიაც.

2001



\* \* \*

წესილის ქვაზე მოულოდნელად,  
 როცა სიკვდილმა ცელი  
     ალესა,  
 შენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.  
 მაგრამ გადარჩი, ვით აქილევსი,  
 რადგანაც ცეცხლზე  
     გაწროთ თეტიდამ.

1992



ა. ა. ს.

## თურქეთის გზაზე

გზად წარსული ბორკილად და,  
ძველ – დაგლეჯილ  
ყრია თოკად.

აქ ხოფაა, ცოტა იქიო სამსუნია.  
ბორჩა,

მცერი, ვით ერულუს,\*  
ვეღარ მოგკლავს.  
სამტანიანს, სამსულიანს.

1991

---

\* ერულუ – ბუმბერაზი.



\* \* \*

ლამაზი ყველა ნერეიდაზე<sup>1</sup>

შურის უღრანში

გზას მიიკვლევდი,

ნათლითმოსილი ჩემდა იმედად.

და აი, ახლა ვხედავ –

მიკვდები –

და ცად მაღლდები, ვით ანდრომედა.<sup>2</sup>

1967

---

<sup>1</sup> ნერეიდა (ბერძ.) – ზღვის ფერია.

<sup>2</sup> ანდრომედა (ბერძ.) – ეთიოპიის მეფის კქსაგხისა და კახიოპებს ულამაზესი ქალიშვილი, (თანავარსკვლავედი)



\* \* \*

დაგესლილ ორკაპა ენების,  
რომ აღარ გასვენებს  
სისინი,  
მათ უფლის სახმილი დადაგავთ.  
დრო მოვა და ყველა  
ისინი,  
შენს ფერხთან დაეცემიან ქადაგად.


2005



## ხილვა: ეზეპიტლი ქალღეაში

უფლის სულით ამაღლებულო –  
დავითის და მოსეს ძეთა,  
(მათ სანთლებად მზე იკმიეს)  
ქალღეაში,  
დევნილ ძმებთან,  
გხედაგ მტირალ ეზეპიტლს.

1969



\* \* \*

ლეგენდებით შებუმბლული,  
ძველ კოლხურ ცას  
უჩანს ფრთები.  
და წარსულის მონადირე –  
ხსოვნის ბჭესთან  
გუსაფრდები –  
რქებგაბარჯდლულ ოქროს ირემს.

1991



\* \* \*

უფალი ოუ განრისხდა,  
 ელვის ბასრი სატევრით  
 და მზისფერი ყაწიმით –  
 ურწმუნოთ ცის თავანზე  
 ქვის სეტყვას და  
 წერწუმას  
 და მერეხსაც აწვიმებს.

1967



\* \* \*

ვერ განკურნეს ზღვაში  
ანგელოზებმა,

დაჭრილია,

ცაში ადის მზე.

რა ქნას,  
მიწას სხივი ვერ მოაფრქვია.

და, ვხედავ ლანდს  
ამხედრებულს ნადირზე –

შვიდთავიანს,  
ცხრათვალას და  
ათრქიანს.

1965

\* \* \*

„ძოჯუანის“\* ღვთისმოსაგს,  
ჭმუნგა და  
სიმძიმილი,  
დამემ ვერ მოურჩინა.  
მაინც „დაო-ძინივით“,  
მისდევს დიდ გზას –  
უჩინარს.

1974

---

\* ძოჯუანი – უძველესი წინური წიგნი.



\* \* \*

გუნდი სერაფიმების –  
ელვის ფრთების შრიალით,  
უფლის ცაში რომ ავლენ,  
მაშინ ბაღში წარსულის,  
მოსილთ სევდის კაბაში,  
ვხედავ ბესიკ გაბაშვილს  
და ბიბლიურ იპოლიტე  
რომაელს.

1969



\* \* \*

მზის ჩასვლისას დასავლით,  
 უცებ ამოვარდება ელვა  
 ცეცხლის ალიდან.  
 მთები გამოაჩენენ ზეირთთა სნეულ  
 ყვრიმალებს.  
 საიდანდაც ჭენებით მოვა  
 ქარიშხალი, და  
 მოგვარგვალე ზღვათა ქვაბს  
 ისევ ააყირავებს.

1968



\* \* \*

ევფრატთან და სინხუასთან –

ეფერე და ესალბუნე,

ლაოძსა და

თეოკლიტეს.

მიტომაა შენს „ფსალმუნებს“ –

სივრცეები ვეღარ იტევს.

1994



## მბლები

სიხარულისფრად მოყვავილე,  
 ირგვლივ სიყვარულის ბაღებია,  
 მკერდზე რომ მზის ნათელს  
 იძნევენ...  
 – მგლები წმინდა გიორგის  
 ბაღლებია,  
 რომ დაყმუიან შიშა და  
 სიბნელეს.

1972



\* \* \*

თქმულებების სეტყვაში და  
ლეგენდების ამ თავსემაში,  
რა თუნდაც რომ მეძნელოს.  
ძველ კოლხეთის –  
წარსულს გისხამ  
ოქროს თასში  
და ვსვამ მზის სადღეგრძელოს.

1970



\* \* \*

ოოცა ზევსი ზევსობდა,  
 რაღა უნდა ენანათ,  
 ან რა ჰქონდათ სადაო,  
 მათ მიწიერ მეფესთან:  
     ნანასა<sup>1</sup> და  
     ნენანას,<sup>2</sup>  
 თარხონსა<sup>3</sup> და ჰეფესტოს.<sup>4</sup>

1978

---

<sup>1234</sup> ორმოცი საუკუნის მიდმა, კოლხური (ქართული) დმერთ-დვთაებანი.



\* \* \*

ანგელოზთა ფრთათა შრიალს,

სადღაც მიაქვს ცა

რიალით.

დამეა უნაპირო

მზე უბრწყინავთ მარიამის

ათრაკსა და

საფირონს.

1979



\* \* \*

მთამ ზღვას ნისლის კრაველი,  
როცა გადაუფინა,  
ელგამ უცებ იანცა  
და წამს გადაუფრინა  
უფრთო მიწას,  
ფრთიან ცას.

1971



\* \* \*

ხვარცასავით გადამდები,  
მოლანდება გდევდა მხეცის  
და მოძალეს თუ ზარავდი,  
ტანზე აბჯრად —  
რწმენა გეცვა,  
გეხურა მზის მუზარადი.

1977



\* \* \*

როდესაც ცის ტაძრიდან –  
 დამეს რეკავს  
 სხვა ზარი,  
 მაშინ დედამიწაზე –  
 ხედავ სურათს საზარელს.  
 და შენ ყოვლის გამრიგე  
 გმობ,  
 კით ელიაზარი.

1981



\* \* \*

ტყეში ათასწლეულთა –

შარას ვეღარ იკვლევენ,

სიკვდილს გამოქცეულნი:

აცქებები,

ინკები.

და მოხუცი პლუტარქე ფიქრობს და...

ძლივს იხსენებს –

